

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №9

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №9

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი მაღალტექნოლოგიური 100 საწოლიანი, მრავალპროფილური ჰოსპიტალი „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის“ ტერიტორიაზე, გენერალური გეგმის შესაბამისად;

გადასაცემი ობიექტები:

- შპს „ქ. ბათუმის ონკოლოგიური ცენტრი“
- შპს „რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერი“
- შპს „ნევროლოგიურ-ფსიქოლოგიური დისპანსერი“
- შპს „ფსიქიატრიული საავადმყოფო“
- შპს „აჭარის რესპუბლიკური ფტიზიოპულმონოლოგიური საავადმყოფო“
- შპს „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი“
- შპს „ქ. ბათუმის ინფექციური საავადმყოფო“
- შპს „ხულოს რაიონული საავადმყოფო“
- შპს „ქობულეთის ფტიზიოპულმონოლოგიური დისპანსერი“
- შპს „ქობულეთის სამშობიარო სახლი“
- შპს „ჩაქვის რაიონული საავადმყოფო“

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია:

- საბანკო გარანტიის წარმოდგენა მაქსიმალური თანხით;
- საბანკო გარანტიით ერთი და იგივე თანხის წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება პროექტის დასრულების ვადას.

შერჩევაში მონაწილეობისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი მინიმუმ 1 500 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია, აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

საბუთების წარმოდგენა - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702, 13 ივლისის 17 სთ.-მდე.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოსადგენი იქნება დახურულ კონვერტებში.

კონვერტების გახსნა მოხდება საჯაროდ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801; 13 ივლისის, 17 სთ. და 30 წუთზე.

შემოთავაზების გაუმჯობესება არ მიიღება.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №9 - შედეგები

13 ივლისს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების მე-9 პროექტის კონკურსი გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ერთი ერთობლივი განაცხადი „პსპ-ფარმას,~ ავერსი-ფარმასა~ და ბლოკ-ჯორჯიასგან.~ სამი კომპანიის გაერთიანება სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებას იღებს შეასრულოს საკონკურსო პირობები. საბანკო გარანტიის სახით მათ 1 510 000 აშშ დოლარი წარმოადგინეს.

გენერალური გეგმის შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებული კომპანიების ერთობლივი ჯგუფი შექმნის ერთ მაღალტექნოლოგიურ, 100 საწოლიან, მრავალპროფილურ ჰოსპიტალს „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის“ ტერიტორიაზე. ამის სანაცვლოდ მათ საკუთრებაში გადაეცემათ აჭარაში მდებარე რამდენიმე ობიექტი, კერძოდ: „ქ. ბათუმის ონკოლოგიური ცენტრი,“ „რესპუბლიკური ენდოკრინოლოგიური დისპანსერი,“ „ნევროლოგიურ-ფსიქოლოგიური დისპანსერი,“ „ფსიქიატრიული საავადმყოფო,“ „აჭარის რესპუბლიკური ფტიზიოპულმონოლოგიური საავადმყოფო,“ „ქ. ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრი,“ „ქ. ბათუმის ინფექციური საავადმყოფო,“ „ხულოს რაიონული საავადმყოფო,“ „ქობულეთის ფტიზიოპულმონოლოგიური დისპანსერი,“ „ქობულეთის სამშობიარო სახლი“ და „ჩაქვის რაიონული საავადმყოფო.“

„პსპ-ფარმას“, „ავერსი-ფარმას“ და „ბლოკ-ჯორჯიას“ ერთობლივი ჯგუფი ბათუმის ახალ ჰოსპიტალს 24 თვეში ააშენებს.